# წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის

2003 წელს ახალი შუამთის მონასტერში საბერძნეთიდან სტუმრად ჩამოვიდა ჩვენი სულიერი დედა, კუნძულ თასოსის მთავარანგელოზ მიქაელის მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ეფრემია. მან რამდენიმე ბერძნული წიგნი ჩამოგვიტანა, რომელთა შორისაც იყო ქალბატონ მირსინი ვინგოპულოს საბავშვო წიგნი „მექალაქიდან შენქალაქისკენ“, რომელმაც მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება.

წიგნი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ წაკითხულს ჩვენი მონასტრის მონაზვნებს ვუამბობდი შეკრებების დროს; ისინიც დიდი ინტერესით ისმენდნენ, რადგან მთავარი გმირის, ჯიუტას, ამბავი იმ სულიერ სიბრძნეს გადმოსცემდა, რომელიც დაუნჯებულია ჩვენს ეკლესიაში. ბავშვებისთვის გასაგებად და ძალიან სხარტად გადმოცემულმა ამბავმა სათნოებებისა და ვნებების შესახებ ამ წიგნის ქართულ ენაზე თარგმნის სურვილი გაგვიჩინა. ვინაიდან ქალბატონი მირსინი ვინგოპულო აღნიშნავს, რომ წიგნის დაწერა ღირს მამა პაისი მთაწმინდელთან შეხვედრამ შთააგონა, ჩვენც მამა პაისისთან „შეხვედრად“ მივიჩნიეთ ამ წიგნის გაცნობა.

თარგმნაზე ნებართვის ასაღებად დავუკავშირდით ქალბატონ მირსინის. თავის მხრივ, ის მამა პაისის მიერ დაარსებული სუროტის იოანე ღვთისმეტყველის მონასტრის წინამძღვარს, იღუმენია ფილოთეას, ესტუმრა ლოცვა-კურთხევისთვის. ის კი დაუკავშირდა კუნძულ თასოსის მონასტრის წინამძღვარს, იღუმენია ეფრემიას – ჩვენს სულიერ დედას. ასე მივიღეთ ლოცვა-კურთხევა მის მიერ ჩამოტანილი წიგნის თარგმნაზე.

2006 წელს ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები გავუგზავნეთ ქალბატონ მირსინის, მან ისინი იღუმენია ფილოთეას აჩვენა (ქალბატონი მირსინი სუროტის მონასტრის სიახლოვეს ცხოვრობს); შემდეგ კი, როგორც თავად გვიამბო, მამა პაისის საფლავზე წაიღო და ლოცვითი შეწევნა სთხოვა ღირს მამას, რომ ყველა ბავშვს, ვინც ამ წიგნს წაიკითხავდა, სულიერი სარგებელი მიეღო.

მოგვიანებით, სუროტის მონასტერში სტუმრობისას, პირადად გავიცანით ქალბატონი მირსინი – ეს უაღრესად სათნო და სულიერი სიბრძნით დაჯილდოებული მწერალი, რომლის წიგნებიც შეიყვარეს ბავშვებმა საბერძნეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში.

წიგნს საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამაში ის კლასგარეშე საკითხავადაც შეიტანეს. იმართებოდა განხილვა და დისკუსიები სკოლებსა თუ საბავშვო ლიტერატურულ წრეებში. ბავშვებს ისე შეუყვარდათ ზღაპარი, რომ რამდენიმე სკოლაში სპექტაკლებიც კი დადგეს.

ჩვენს მონასტერს ხშირად სტუმრობდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები; ისინი გვეკითხებოდნენ, გაგრძელდებოდა თუ არა ჯიუტას თავგადასავალი. ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებმა წერილებიც მისწერეს ქალბატონ მირსინის და ამბის გაგრძელება სთხოვეს. და მართლაც, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი ბავშვის თხოვნითა და მათი სიყვარულით მწერალმა დაწერა – „შენქალაქიდან ზეციური ქალაქისკენ“, რომელიც საბერძნეთში პირველად 2011 წელს გამოიცა.

ვიცით, რომ ამ წიგნს ბევრი ბავშვი ელოდება და გვინდა, ისინი ერთად გამოცემული ორი წიგნით გავახაროთ: „მექალაქიდან შენქალაქისკენ“ და „შენქალაქიდან ზეციური ქალაქისკენ“.

ვთხოვთ ღირს მამა პაისის, შეეწიოს ბავშვებს და ყველას, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, რათა სულიერი სარგებელი მიიღონ.

ვფიქრობთ, წიგნი გაახარებს მათ, ვინც მარადიულ სიბრძნეს ეძიებს.

ღირსი მამა პაისი მთაწმინდელის ლოცვა შეგვეწიოს.

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის
მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია იოანა
ქრისტესმიერ დებთან ერთად